ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის ფუნქციები
(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 65)

- სთხოვეთ ამომრჩეველს, წარმოადგინოს:
  - ✓ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი;
  - ✓ იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის შემთხვევაში – დევნილის მოწმობა საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობასთან ან საქართველოს მოქალაქის პასპორტთან ერთად.
- შეამოწმეთ, არის თუ არა ამომრჩეველი შეყვანილი ამომრჩეველთა ერთიან ან სპეციალურ სიაში, და შეადარეთ ამომრჩევლის პირადი ნომერი ამომრჩეველთა სიაში არსებულ ნომერს.
- შეამოწმეთ წარდგენილ დოკუმენტში/დოკუმენტებში შეტანილი ამომრჩევლის სარეგისტრაციო მონაცემებისა და ამომრჩეველთა სიაში არსებული მონაცემების შესაბამისობა.
- შეამოწმეთ წარდგენილ დოკუმენტში/დოკუმენტებში და ამომრჩეველთა სიაში არსებული ფოტოსურათების და ამომრჩევლის სახის ერთმანეთთან შესაბამისობა.
- თუ ამომრჩეველი შეყვანილია ამომრჩეველთა სიაში, გაუკეთეთ ამომრჩეველს მარკირება.
- ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით დაადასტურეთ საარჩევნო ბიულეტენის/ ბიულეტენების გაცემა.
- სთხოვეთ ამომრჩეველს, ამომრჩეველთა სიაში თავისი გვარის გასწვრივ ხელმოწერით დაადასტუროს საარჩევნო ბიულეტენის/ბიულეტენების მიღება.
- მოაწერეთ ხელი საარჩევნო ბიულეტენის/ბიულეტენების უკანა გვერდზე.
- დაამოწმეთ საარჩევნო ბიულეტენი/ბიულეტენები (უკანა გვერდზე, ამისთვის განკუთვნილ ადგილზე) რეგისტრატორის ბეჭდით.
- გადაეცით ამომრჩეველს თქვენ მიერ ხელმოწერილი და რეგისტრატორის ბეჭდით დამოწმებული საარჩევნო ბიულეტენი/ბიულეტენები.
- მიუთითეთ ამომრჩეველს, შევიდეს კენჭისყრის კაბინაში.

ყურადღება!

- თუ ამომრჩეველი არ წარმოგიდგენთ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას, საქართველოს მოქალაქის პასპორტს, იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის შემთხვევაში – დევნილის მოწმობას საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობასთან ან საქართველოს მოქალაქის პასპორტთან ერთად, მას არ უნდა გადასცეთ საარჩევნო ბიულეტენი/ბიულეტენები.
- თუ ამომრჩეველი უარს აცხადებს მარკირებაზე, მას არ აქვს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება და არ უნდა გადასცეთ საარჩევნო ბიულეტენი/ბიულეტენები.
- ამომრჩეველი, რომელიც ფიზიკური მდგომარეობის, კერძოდ, ზედა კიდურების არქონის, გამო ვერ ახერხებს ხმის მიცემის პროცედურების დამოუკიდებლად შესრულებას, არ გადის მარკირების პროცედურას. ამომრჩევლისათვის საარჩევნო ბიულეტენის/ბიულეტენების გაცემისას ამომრჩეველთა ერთიანი სიის გრაფაში „ამომრჩევლის ხელმოწერა“ უნდა გააკეთოთ ჩანაწერი „ფიზიკური მდგომარეობა“ და დაადასტუროთ ხელმოწერით.
- თუ თქვენ ან ამომრჩეველს გაგიფუჭდებათ საარჩევნო ბიულეტენი/ბიულეტენები, ეს დაუყოვნებლივ აცნობეთ კომისიის თავმჯდომარეს და ამომრჩეველს გადაეცით ახალი (თქვენ მიერ ხელმოწერილი და რეგისტრატორის ბეჭდით დამოწმებული) საარჩევნო ბიულეტენი/ბიულეტენები.

გაითვალისწინეთ!

- ✓ რეკომენდებულია ამომრჩეველთა რეგისტრატორმა 10:00, 12:00, 15:00 და 17:00 საათებზე, კენჭისყრის პროცესისთვის ხელის შეუშლელად გადაითვალოს ამომრჩეველთა სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერების და მის მიერ გაცემული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობები (კომისიის თავმჯდომარისთვის გადაცემული გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობის ჩათვლით). თუ მონაცემებს შორის სხვაობა გამოვლინდა, ამომრჩეველთა რეგისტრატორმა დაუყოვნებლივ უნდა დაწეროს ახსნა-განმარტება, რომელიც დაერთვება კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს/ოქმებს.
- ✓ ამომრჩეველთა რეგისტრატორის ფუნქციის გადაცემის შემთხვევაში რეგისტრატორი ვალდებულია გადაითვალოს ამომრჩეველთა სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერების და მის მიერ გაცემული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობები (კომისიის თავმჯდომარისთვის გადაცემული გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობის ჩათვლით) და შედეგები აცნობოს კომისიის თავმჯდომარეს. თუ მონაცემებს შორის სხვაობა გამოვლინდა, ამომრჩეველთა რეგისტრატორმა დაუყოვნებლივ უნდა დაწეროს ახსნა-განმარტება, რომელიც დაერთვება კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს/ოქმებს.